

ნინობი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

№23. თბილისი, 1949 წ.
გამომცემლობა „კომუნისტი“.

გამოცემის წელი XXVI.
ფასი 2 მან.



მემაჩვენა სოსიანისი დაქივი
და იმპერიული

ნახ. ი. ქოქიაშვილისა
— მოხრძნდი და გიმასპინძლებთ,
არ მოგაკლებთ შნოს და ლაზათს.
ფიანდაზი არ გვეყოფა?
ჩვენ გვიგულე ფიანდაზად!

საქართველოს სსრ-ის მთავრობის განცხადება № 5-10/1-1



ჩვენს მშენებელს

მუშა



დაეკარგა მოსვენება
მდიდარ ძიას უოლ-სტრიტელს,
აცქერდება ქვეყნის რუკას,
ფერად შავს და ფერად წითელს.

აცქერდება ზღვებს და ხმელეთს,
გზებისა და მთების ქარვას,
გუშინ რუკა სულ სხვა იყო,
დღეს რომ უცქერს. იმას არ გაეს.

ძიას ძილი დაეკარგა,
გულში ბოღმას ველარ იტევს,—
გუშინდელი ფერად შავი
დღეს გზას უთმობს ფერად წითელს.

გუშინ ხმელეთს მოსდებოდნენ
უოლ-სტრიტის მოლარენი,
ვერობასაც, აზიასაც
ყიდულობდნენ დოლარებით.

ყიდულობდნენ ხალხის შრომას
და მთელს ქვეყნებს თითო გროშად,
მათი ღმერთი ოქრო იყო
და დოლარი ჰქონდათ დროშად.

ეხლა ჩარხი შეტრიალდა,
ძია სწუხს და თანაც ცმუკავს,
რა ძალაა, ახლებურად
რომ ალაგებს ქვეყნის რუკას!

ჯერ ვერობის შუაგულში
მისი გზები გადალობა,
ახლა კიდევ ბალკანეთში
არ აცალა ყაჩაღობა.

ჯავრობს ძია, ქვეყნის გზებზე
სეირნობას დაჩვეული,

ვერ შეჭამა, შესაჭმელად
ვინაც ჰყავდა არჩეული.

მაგრამ ყველა დარღვე დიდი
ერთი დარდი გასჩენია,
უცქერს ჩინეთს და მჯილს იცემს,
მეტი სხვა რა დარჩენია!

რამდენი რამ ჩააყარა
იმ დაწყევლილ ჩან-კაი-შის,
რა კოშკები არ დაუდგა
პეკინშიც და შანხაიშიც.

პური მისცა, ტყვია მისცა,
დაუყენა ოქრო ზენად,
ოლონდ ჩინელ კომუნისტებს
არ ჰქცევდათ ომი ლხინად.

თან მარშალიც გაუგზავნა,
დიპლომატი დეზიანი,
დახე, მაინც ოხრად დარჩა
ფუძიანიც, ჯეძიანიც!

მას ეგონა, რომ ჩინეთის
თვალუწვდენელ ზღვებს და ქედებს
ხელმეორედ მოავლებდა
დოლარების ჩინურ კედელს.

მაგრამ დადგა რისხვის ჟამი,
რა გაუძლებს ხალხის დელგმას!
დგას მარშალი აყლაყულა
და დასტირის თავის გეგმას.

ველარც ჩინურ ფლავს მიირთმევს,
ველარც ჩინურ ფაიფურსა...
რა წარმტაცი გეგმა ჰქონდა
და რა უცებ ჩაიფუშა!

ალარც ხმალი ჩან-კაი-შის,
ალარც თანხა მოლარისა,
ხელში შერჩა მხოლოდ კვამლი
ექვს მილიარდ დოლარისა.

ვერ უშველეს ველარც ბუდამ,
ვერც მაჰმადის შეიხებმა,
გუშინ რუკა შავი იყო,
დღეს ალისფრად შეიღება!

და ვინ იცის, ხვალე კიდევ...
(ძია სწუხს და თანაც ცმუკავს),
ოთხივ კუთხივ ქვეყანაზე
რა მოელის იმ შავ რუკას!

რა მოელის, სადაც კიდევ
შავი ფერი შერჩენია...
სდულს ხმელეთი, დოლარს ყველგან
ერთი ცეცხლი შესჩენია.

და ეს ცეცხლი თვით უოლ-სტრიტს
უთხრის ძირს და ურღვევს ბუდეს.
ძია სწყევლის მაო-ძე-დუნს,
ხან კომინფორმს, ხანაც ჩუ-დეს.

ხან აგინებს ჩან-კაი-შის,
ეს რა დარდი მიუსია,—
ყველაფერი ელუბება,
რაც კი მისთვის მიუტია!

ველარც ჩინურ ფლავს მიირთმევს,
ველარც ჩინურ ფაიფურსა,
რა წარმტაცი გეგმა ჰქონდა
და რა უცებ ჩაიფუშა!

ფუ-შენ-ძია



ნიუ-იორკის ქუჩაზე ვიღაც მოქალაქეს მანქანამ გვერდი გაჰკრა და წააქცია დაჯახება იმდენად უმნიშვნელო იყო, რომ შოფერს არაფერი შეუმჩნევია, გზა მშვიდად განაგრძო. წაქცეული მოქალაქე მხოლოდ გამვლელებმა შეამჩნიეს და გარს შემოეხვივნენ.

— ნეტა ვინ არის, საცოდავი!—ყველაზე პირველად იკითხა ერთმა ხანში შესულმა გამხდარმა ქალმა, რომელსაც ხელში ცარიელი ჩანთა ეჭირა.

— საცოდავი კი არა, ბედნიერია!—ჩურჩულით შეედავა მეორე და აქეთ-იქით შიშით მიმოიხედა. (ალბათ ანტიამერიკული საქმიანობის გამომრკვევი ბიურო გაახსენდა).

— დოკუმენტები გავუსინჯოთ.—სთქვა მესამემ, იმდენად ჩამომხმარმა და გათხელეზულმა, რომ მისი შინაარსის გამორკვევა ურენტგენოდაც შეიძლებოდა.

— მისი დოკუმენტების გასინჯვა მხოლოდ პოლიციელს შეუძლია, ჩვენ ვინ გვკითხავს!—უკმაყოფილო ტონით სთქვა ვიღაცამ და ხელი უიმედოდ ჩაიქნია.

— ეგ მგონი ლიფტში მუშაობდა.—სთქვა ახალმოსულმა.

— ლიფტში?—ერთხმად იკითხა ყველამ.

— დიახ, ის უნდა იყოს, მაჩვენეთ,—და ახალმოსული დამსწრეთა რკალის გარღვევის შემდეგ დაზარალებულს დააკვირდა.

ოუჭი იზღი

— ის არის?—ერთხმად იკითხა ყველამ.

— მგონი ის უნდა იყოს...თეთრი წვერი, ჭრელი თვალები, რა ვიცი, წაქცეული რომ არის, სიმაღლეს ვეღარ ვარკვევ, მგონი ის უნდა იყოს.

— მგონი, მგონი!—აბურტყუნდა ვიღაცა, —რაც არ იცი, იმის შესახებ არ უნდა ილაპარაკო!

— რატომ ცხარობთ, ასეთი კაცი ჩვენთან მუშაობს ლიფტში, სხვათა შორის, დიდი ხანი არ არის, რაც მუშაობს, მაგრამ ვერ გამომირკვევია ის არის, თუ არა... მოიცათ, დიახ, ის უნდა იყოს, სულ იმას ჰგავს.

გამვლელები დაზარალებულს მოცილდნენ და მცნობს შემოეხვივნენ.

— თქვენ სად მუშაობთ?

— ეს სრულიადაც არ არის თქვენი საქმე!—იწყინა მცნობმა.

მოეფერნენ, დაუყვავეს, მაგრამ მხოლოდ ერთი წინადადება ათქმევინეს:

— როგორ გგონიათ, მე ცოტა მყავს დეიდა ან მამიდა უმუშევარი, რომ ამ დაღუპული კაცის ადგილზე როგორმე მოვაწყურო?

ამ დროს პოლიციელი გაჩნდა და ცნობისმოყვარეთა გაფანტვა სცადა, მაგრამ ეს უკანასკნელნი მხოლოდ ოდნავ მოშორდნენ დაზარალებულს.

— მცნობი ხომ არავინ არის?—იკითხა პოლიციელმა.

დამსწრეებმა აქეთ-იქით დაიწყეს ყურება, იმ კაცს ეძებდნენ, ერთი წუთის წინ ლიფტის მომუშავედ რომ გაასაღა დაზარალებული, მაგრამ მხოლოდ ქუჩის ბოლოში მოკრეს მას თვალი. იგი გამწარებული გარბოდა.

პოლიციელმა დოკუმენტები ამოაცალა დაზარალებულს, გადასინჯა, კარგად დააკვირდა დოკუმენტების პატრონს და სთქვა:

— მანქანა არაფერ შუაშია, ალბათ შიმშილით მოკვდა, ის ხომ უმუშევარია!

— უმუშევარი!—ერთხმად წამოიძახეს დამსწრეებმა და იმით იმედგადაწყვეტილნი, რომ გარდაცვლილი კაცი უმუშევარი იყო და მისი გარდაცვალების შედეგად სამუშაო ადგილს ვერავინ იშოვიდა, გზას გაუდგნენ.

გ. ივანიშვილი


ნიშნის მოუპო

ნახ. ი. ქოქიაშვილისა

ზოგიერთ კოლმეურნეობაში ადგილი აქვს პროდუქტების არასწორ განაწილებას. ერთი სახის პროდუქტი კოლმეურნეთა ერთ ნაწილს ხვდება დიდი რაოდენობით, მეორე ნაწილს კი—მეორე სახის პროდუქტი.



— ეს თბილი პური აქ ისამოვნეთ, ღვინო კი, სულ ბახახ რომ შეახვედრეთ, იქ მიირთვიეთ!



თიანეთი მუშაკების ქუჩაზე

— მომეცი მამა, ეგ ხურჯინი, მომეცი... შენ დაი-
ლაღე.—ემუდარებოდა ტრამევის გაჩერებასთან მდგო-
მი ახალგაზრდა, სუფთად წვერგაპარსული კაცი მხარ-
ზე ხურჯინაკიდებულ მოხუცს.

მოხუცი ჯიუტობდა. პირქუშად იხედებოდა აქეთ-
იქით. ხურჯინს არ ანებებდა. დაცინვით ამბობდა:
— დამანებე თავი, დამანებე. აბა, სასიძოდ გამო-
წვეპილ კაცს ეს ხურჯინი რას დაგშვენდება!

ჭაბუკი ნერვიულად ილიმებოდა, მელიქიშვილის
ფართო ქუჩის ერთ შესახვევს გაოცებით გასცქეროდა
და დაუინებოდა იმეორებდა:

— აი, აქ იდგა ის სახლი, აქა!
— იქნებ მხარი გექცა, შვილო, იქნებ სხვა ქუჩაზე
მოხვდით?
უკმაყოფილოდ ბუზღუნებდა მოქანცული მოხუცი,
მძიმე ხურჯინს მხარს უნაცვლებდა, ცალი ხელით
შუბლიდან ოფლს იწმენდა.

— არა, ხუთი წელიწადი ამ ქუჩას ვტკეპნიდი, მხა-
რი როგორ მექცოდა. ქუჩა გაუფართოებიათ. აგერ
უნივერსიტეტიც მოჩანს!

— მაშ რა იქნა ის სახლი, შვილო, ცამ ჩაყლაპა
თუ მიწამ, კენჭი ხომ არ იყო, ვინმეს ფეხი წამოეკრა
და განზე გადაეგდო?
— ამ სამი თვის წინათ... — წამოიწყოა ჭაბუკმა,
მაგრამ მოხუცმა გაჯავრებით შეაწყვეტინა:
— ეჭ, ამ სამი თვის წინათ, ამ სამი თვის წინათ...
თქვენსას ვერაფერს გაიგებს კაცი, საქმეს საქმეზე ვერ
შიიყვანთ. ამ ხნის კაცი სოფლიდან წამომიყვანე: სარ-
ძლოს საჩვენებლად, ხუთფუთიანი ხურჯინი ამკიდე,
აბა, რას მემართლებოდი, ბიჭო, მისამართიც კი არა
გცოდნია!

— დღე ისე არ გაივლიდა, რომ თინასთან არ შე-
მერბინა, აი, ამ კუთხეში მალაზიაც იყო, რამდენჯერ
შოკოლადი მიყიდნია, რამდენჯერ...
— ეგვეც შენი საცოლდე, დაგტოვა თუ არა ქუჩაში.
ესლა შოკოლადის ხსენება რალას უშველის წამხდარ
საქმეს. წავიდეთ, კოლმეურნის სახლში მაინც
გავათიოთ ღამე!

ხურჯინი ყოყმანობდა (სასიძოდ ჭაბუკს ხურჯინი ერქვა),
ბოლომდე აესებდა. სამი თვეა, ამ დღეს მოუთმენლად
მოელის. საში თვეა, რაც კახეთის შორეულ სოფელში
მუშაობს ზოტეკნიკოსად და გულის ფანცქალით ელო-
დება შვიდი ნომბრის დღესასწაულს. საიდუმლოდ
დადებული საქორწინო პირობა მოსვენებას არ აძლევს.
ეს ერთი კვირაა, რაც მოხუცი მშობლებს გამოუტყდა,
ჯიუტ მამას შეუჩნდა, შეგაულიანა და თბილისის
გზას დააყენა.

— არსადაც არ წამოვალ, ხვალ შვიდი ნომბერია...
არ შეიძლება, რომ... — ნაწყვეტ-ნაწყვეტად ისროდა
ხურჯინი.

— ყველაფერი შეიძლება, შვილო... ეშმაკმა დალაზე-
როს ახლანდელი ქალები, სამი თვის კი არა—სამი
საათის წინ დადებული პირობაც აღარ ახსოვთ!
მოხუცის პირდაპირი სიტყვა ლახვარივით მოხვდა

ჭაბუკის გულს. ანთო. რალაც უნდოდა ეთქვა, მა-
გრამ...
მართლაც, იქნებ რა მოხდა ამ სამ თვეში. იქნებ
გული შეიცვალა თინამ. იქნებ შეხვდა უფრო კარგი?
ასეა, სწორეთ ასეა. ამ სამ თვეში ერთი წერილი მაინც
რატომ არ გამოგზავნა. კარგი, ვთქვათ, სხვაგან და-
ვიდა, საფოსტო ყუთში წერილის ჩაგდება ვეღარ მო-
ხერხა?
— რახან ასეა, შენ კოლმეურნის სახლში წადი... მე
აქ მოვიცდი.

გადაჭრით უთხრა ბოლოს ხურჯინმა მამას და თავი
ჩაღუნა. მოხუცს შეებრალა ჭაბუკი, დადუმდა და ხურ-
ჯინის თვალი კვლავ გადაინაცვლა მეორე მხარზე.



ელექტრონით გაშუქებულ ფართო ქუჩაში ზღვა
ხალხი მიმოდიოდა. ყველა სადღაც მიეჩქარებოდა,
სადღესასწაულოდ ემზადებოდა. რადიო-რეპროდუქ-
ტორები ხმამაღლა მღეროდნენ სამხარულო სიმლე-
რებს.

ტრამევის გაჩერებასთან მდგარი მამა-შვილი კი...
უცებ ხურჯინმა ქუჩის მეორე მხარეს მომავალ ქალ-
გაქს მოჰკრა თვალი და უნებურად შეკრთა.

„ის არის, ის, თინა...“
გაიფიქრა. ხურჯინმა და მამის ხურჯინმოკიდებულ
ახოვან მხრებს მოეფარა.

„ის გაუი ვინლაა?.. ნუთუ...“
ახალგაზრდა, ლამაზ ქალიშვილს ტანმალალი ჭაბუ-
კისათვის ხელი ხელში გაეყარა, ლაღად მოაბიჯებდა,
გამვლეულ-გამომვლეულს ათვალეირებდა, კისკისებდა,
ვაქს თვალებში შესცივინებდა და რალაცას უმტკი-
ცებდა.

მართალი თქვა წელან მოხუცმა, მართალი! სამი
თვის წინათ დადებული პირობა ყინულზე დაწერილი
აღმოჩნდა. კიდევ კარგი, რომ მოხუცი არ იცნობს
თინას, ვერაფერს მიხვდება. რა იცის, რომ აგერ ის
ყარყარა გოგო მისი სარძლო იყო ამ სამი თვის წინათ?..

მაგრამ, აი, მათ ქუჩა გადმოსერეს, ხურჯინს მო-
ფარებულ ხურჯინს ჩაუარეს და იქვე მახლობლად შე-
ჩერდნენ. შეჩერდნენ კი არა, თითქმის ძალით შეაჩერა
თინამ უცნობი ვაჟი.

— მე უკვე მოთმინება მეკარგება.— უკმაყოფილოდ
თქვა ვაჟმა.

— სულწასული ხარ, ბიჭო, სულწასული... ნუთუ
ცოტას ვეღარ მოიცდი.

— ყელი გაშრა, გოგო, ყელი... გაშლილი სუფრა
დამატოვებინე და ერთი საათია აქ დამატარებ.

— ხუთი წუთი, ხუთი წუთი კიდევ... ის უსათუოდ
მოვა აქ.—ემუდარებოდა ქალიშვილი ჭაბუკს. ხურჯინი
ყურს არ უჯერებდა. ნუთუ მას დაეძებენ, ნუთუ მართ-
ლა ერთი საათია, რაც მას ელოდებიან?..

— ღმერთმა შენც შეგარცხენია და შენი კახელი
საქმროც!
შემოესმა ხურჯინს უცნობი ყმაწვილის უკმაყოფილო
წამოძახილი. მეტი ვეღარ მოითმინა, ადგილს მოსწყ-
და, ქალ-ვაჟთან მიიბრინა და შესძახა:
— აქა ვარ, აქა, მე უკვე ჩამოვედი!
თინას სახე გაუბრწყინდა. უცნობმა ვაჟმა განცი-
ფრებით უკან დაიხია. მოხუციც გაოცდა, მაგრამ უმაღ-
ყველაფერს მიხვდა და ჭაღარა უღვაშებში ჩაიღიმილა.

— აი, მამაჩემიც აქ არის, გაიცანიო! — ამბობდა
აღელვებული ხურჯინი და მკერდზე მიხუტებულ თინას
მოხუცისკენ ეწყოლა.

მაღე თინაც დამშვიდდა. მან მოკრძალებით შეხვდა
სამამამთილოს და უცნობი ვაჟი ღიმილით წარუბრინა.

— ეს ჩემი ბიძაშვილია, გაიცანიო.


მოხუცმა უცნობს ხელი ჩამოართვა და სარძლოს
ღიმილით ჰკითხა:
— ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ თქვენი სახლი
რალა იქნა, ცამ ჩაყლაპა თუ მიწამა?
თინამ მხიარულად გადიკისკისა, სული მოითქვა და
ქუჩის მეორე მხარეს გაჩერებულ ტაქსის ხელი დაუქნია.

— ჩვენი სახლი დაანგრეს და მე ახალი ბინა მომცეს.
ეს სამი თვე ბინის ამორჩევს და დაბინავებას მოვან-
დომე... წერილის გამოგზავნა ვეღარ მოვა... — ახე. პი-
რობა კი ყოველთვის მახსოვდა და მჯეროდა რომ აქ,
ამ სალამოს გნახავდით!

მათ წინ კრიალა მანქანა ქმენით შეჩერდა. თინამ
მოხუცი მანქანისკენ წაიყვანა და ღიმილით უთხრა:
— ახლა კი ჩემს ახალ ბინასაც გაჩვენებთ, აქვე,
მარის ქუჩაზე მომცეს, ახალ სახლში.

თინას ბიძაშვილი მანქანის კარი გამოაღო, მოხუცს
მძიმე ხურჯინი მხრიდან ჩამოსწია, მანქანაში შევიდა;
ხურჯინიც შეათრია და მხიარულად წამოიძახა:
— აი, ეს კი მესმის, ჯერჯერობით ყველაფერი კარ-
გად მიდის, ნახავთ როგორ დაამშვენებს ჩვენს სტუ-
დენტურ სუფრას ეს კახური ხურჯინი! აბა, მარის
ქუჩისაკენ!
ტაქსი ახმურდა და სწრაფად გასრიალდა მელიქი-
შვილის ნათელ, ფართო ქუჩაზე.

გოგიბილა





ვისაც რა უნდა უყვარდეს, სულ სხვა ჩემი ტრფიალი: მიყვარს საქმეთა აღრევა და ციბრუტივით ტრიალი. პირი შეურცხვეს ზოგ მთავბუხს, ვინც დადის სწორი ბილიკით,— მე მწამს გზა მიხრილ-მოხრილი და ემოღვაწეობ „პირიკით“! აბა, ვის ძალუძს ჩემსავით მომართოს ტკბილი ებანი, ბუხპალატრისა და მოლარის შერწყმა და შეთავსებანი!?

გიჟი ვარ, რომ არ გავქაფო? რად გავიმშრალო პირი მე, ხურდა ფულს ვენაცვალე, ასიანების ჭირიმე!...

ნსახურნო ჩვენი სკოლისა, საამო თაიგულეზო, ჩემს საბუხპალატრო მახათზე წამოგებ-წამოცმულეზო! ხომ ხელავთ, მე—მახათაძე, რა ძალამ ამაქაქანა, საბუხპალატროში გავჩარხე ტყავის საძრობი მანქანა!.. მაშ, ვინ გგონივართ, ვინა ვარ, ვინაა ჩემზე დიდია— ცა ქული არის ჩემთვისა, ქვეყანა—გზა და ხილია.

პლატონ-ხანი

გორი-სტალინის ხაზზე სისტემატურად დადიან „საქავტოტრანსის“ მანქანები. ეს ძალიან კარგია, მაგრამ ამ გზაზე გორიდან სტალინისამდის არის რამდენიმე დიდი სოფელი, რომელიც განრიგით არის მოცემული „საქავტოტრანსის“ კანტორაში. ამ სოფლებში ყველგან უნდა იყოს გაჩერება და უნდა იყიდებოდეს მასზე განსაზღვრული ფასის ბილეთი, მაგრამ ეს ასე არ ხდება. მაგ. ა. წ. 1 სექტემბერს „საქავტოტრანსის“ ავტომანქანის № 41-81 შოფერმა სოფელ ძევერიდან მგზავრებს აგვალეზინა ტყვიავის ბილეთი იმ საბაბით, თითქოს მას არ ჰქონოდა ძევერის ბილეთები. ასევე ხდება გორიდან წასვლის დროსაც. მოლარეები აცხადებენ, გარდა ტყვიავისა და სტალინისა ბილეთები არა გვაქვსო და ნაცვლად 7 მ. 75 კაპიკისა გვახდევინებენ 10-15 მანეთს.

როცა მივმართე შოფერს და მოლარეს, ასეთი არასწორი მოქმედების გამო, ასე მიპასუხეს: „მაშ როგორ ფიქრობ, ძმობილო, ფინანსიური გეგმა როგორ უნდა შევასრულოთ“.

გშიშობთ, ამხანაგო ნიანგო, რომ ფინგეგმებით გატაცებულმა გორელმა ავტოტრანსელებმა სტალინის მიმავალ მანქანებზე დაუჯიკაუს ბილეთების გაყიდვა არ დაიწყონ.

შალვა ჯოღობორდი

თეთრიწყაროს რაიონის „სოფელექტროს“ ხელმძღვანელობა წაჯექ-უქუჯექობიას თამაშობს. თუმცა სოფელ ასურეთში ელექტროგაყვანილობა სრულ წესრიგშია, განათება აქ მაინც თვეობით წყდება ხოლმე. ელექტროსინათლე იშვიათად თუ გაილგებს ღამით. სამაგიეროდ ელნათურები ხშირად დლით არის ანთებული და მზის ჩასვლასთან ერთად ქრება. იბადება ექვი: „სოფელექტრო“ მზის ენერჯიას ხომ არ გარდაქმნის ელექტროენერჯიად?

ამას გარდა, სოფელში არის რადიოკვანძი. თითქმის ყოველ სახლში დგას რეპროდუქტორი, მაგრამ ისინიც მუხუგებით დგანან და კოლმეურნეები სწუხან, რომ მათ შესაძენად ტყუილ-უბრალოდ დახარჯეს ფულები.

კოლმეურნეობის აგენტი ვიქტორ ინასარიძე კი, რა წამს ელექტროსინათლე გაილგებს, ილიაში დიდ „პაპკას“ ამოიჩრის, სოფელს ჩამოივლის და ე. წ. „განათების ქიარს“ ჰკრეფს. ამაში კი მას კოლმეურნეობა შრომადღეებს უწერს. ერთი რამ გვაკვირვებს, ამხანაგო ნიანგო, ეს ჩვენი ერთი პატარა მანანა რომ ხან გაანათებს ხან არა, ვის საპატივცემოდაა— ვანო ინასარიძისა, თუ „სოფელექტროს“ ფინგეგმების?

კაბენელი

მთაბეხი ღაკრია...

(ჯაჰა)

თავს იწონებს სიკეკლუციით საყვარელი ჩვენი ჯაჰა, კილით-კილეს განთქმულია საუცხოო მისი ჰაჰა. ბევრი რამ გვაქვს საამაყო, რითაც ჯაჰა გამობრწყინდა... მაგრამ ახლა სულ სხვა რამის ჩამოთვლა და წერა გვინდა. გვიხაროდა, როცა ჯაჰას მოაწოდეს მთების წყალი, იგი მილში მძლავრად ჩქეფდა და ხარობდა კაცის თვალი. მაგრამ როცა წყალსადენი დაძველდა და დაზიანდა, ამ ამბავმა შეგვაწუხა და წყურვილი გავვიზარდა. წყალსადენის შეკეთების დაწყება არ დახანეს, რა ვიცოდით, რომ ამ საქმით ჩვენ დროებით გავგახარეს,— ერთი წელი გავიდა და საქმის ბოლო მაინც არ ჩანს, ბროლის წყალი დაგვშორდა და გზაშეცვლილი მთებში დარჩა...

ლ. ლიანჯინაპირელი

არტელის თავმჯდომარის ეზოში

ნახ. ი. ვაქირელისა



— არ გავხარ შენს პატრონს? ძალათ გაყლაპებ და კამა მაინც გეზარება!

სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე (პ. მგ. რედაქტორი), აკ. ბელიაშვილი, ი. გრიშაშვილი, უ. ჯაფარიძე, კ. კალაძე, ი. ნონეშვილი (პ. მგ. რედაქტორის მოადგილე), ს. ფაშალიშვილი.

Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Няни“. რედაქციის მისამართი: ლენინის ქ. № 14. ტელ. 3-10-49.

ხელმოწ. დასახ. 1949 წ. 21/ХІ. ტექსტი აწუბილია ლ. პ. ბერაის სახ. პოლიგრაფკომბინატ „კომუნისტის“ სტამბაში, შტკ. №, 1535. ლენინის ქ. № 14. დაბეჭდილია სტამბა „ზარია ვოსტოკას“ ოფსეტმანქანაზე, შტკ. № 2679. თბილისი, რუსთაველის გამზ. № 42. გამოც. № 126. ტირ. 11000. უგ. 18210

მაგრამ გაძნელდა ტარება...

ნახ. გურობი



ო. გუაბი

შოლტი გრძელი აქვს ძია სემს, თვით ევროპაშიც უწვდება,
მაგრამ გაძნელდა ტარება, მის ეტლსაც თვლები უცვდება!